4200-13-3-2-201605031431

N 13-3/4200
03/05/2016

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს,
ქალბატონ თამარ სანიკიძეს

ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო თამარ,

2015 წლის 10 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (#9239/15) მომართა თამარ გახოკიძემ (შემდეგში: „განმცხადებელი“). განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფირებული ბიოლოგიის VIII კლასის სასკოლო სახელმძღვანელო[1] შეიცავს დისკრიმინაციული სახის ტერმინებს, ფრაზებს და მსჯელობებს. კერძოდ, სახელმძღვანელოში განხილულია აივ ინფექცია, შიდსი და წამალდამოკიდებულება, იმგვარად, რომ აღნიშნული დაავადებების მქონე პირები ექვემდებარებიან არახელსაყრელ მოპყრობას და სტიგმატიზაციას, რაც იწვევს მათი უფლებების დარღვევას და საზოგადოებისგან გარიყვას. განმცხადებელი ითხოვს დისკრიმინაციის დადგენას ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით და შესაბამისი რეკომენდაციის გაცემას განათლების სამინისტროსა და სახელმძღვანელოს ავტორების მიმართ.

თამარ გახოკიძის ინტერესებს სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგენენ ორგანიზაცია „საფარის“ იურისტები სოფიკო გოგიშვილი და ბაბუცა პატარაია.

---

[1] მალხაზ მაყაშვილი, რუსუდან ახვლედიანი, გამომცემლობა „კლიო“, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012, გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ

1. **ფაქტობრივი გარემოებები**

განცხადების თანახმად, საქართველოს განათლების მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფირებული ბიოლოგიის მერვე კლასის სახელმძღვანელო შეიცავს დისკრიმინაციული სახის ტერმინებს, ფრაზებსა და მსჯელობებს აივ ინფექციის, შიდსის და წამალდამოკიდებულების შესახებ. ბიოლოგიის სახელმძღვანელოში წამალდამოკიდებული პირების მიმართ გამოყენებულია ტერმინი „ნარკომანი“ (გვ. 45-48); 2.13 თავი იწყება საქართველოს პატრიარქის ფრაზით, რომ ნარკომანია სირცხვილია. დასმულია კითხვა – *„როგორ გესმის ილია მეორის ფრაზა? მოიფიქრე, რატომ შეიძლება ნარკომანი გახდეს საზოგადოებისთვის საშიში პიროვნება?“* (გვ.45); „ნარკომანები“ ხშირად სხვის მიერ მოხმარებულ ნემსს იყენებენ და დგანან შიდს-ით და C ჰეპატიტით დაავადების საშიშროების წინაშე (გვ. 47); სახელმძღვანელოში მოცემულია შიდს-ით დაავადებული წამალდამოკიდებული პირის ფოტო (გვ.48); სახელმძღვანელოში წერია, რომ შიდსი შეიძლება გადაედოს ადამიანს აივ-ით ინფიცირებულ პიროვნებასთან სქესობრივი კავშირის დროს (გვ.47); ტერმინები „შიდსი“ და „აიფ-ინვექცია“ გამოყენებულია, როგორც სინონიმური ცნებები (გვ. 46-48).

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ აღნიშნული დაავადებების შესახებ სახელმძღვანელოში მოცემულია მცდარი ან არასრული ინფორმაცია, ასევე, წარმოდგენილია შიდსით დაავადებული ადამიანის შემზარავი ფოტო, რაც ხელს უწყობს აღნიშნული დაავადებების მქონე პირთა მიმართ სტიგმის და სტერეოტიპული დამოკიდებულების გამყარებას. განმცხადებლის მტკიცებით, ტერმინი „ნარკომანი“ არ შეესაბამება ქართულ კანონმდებლობას, აკადემიურ ტერმინოლოგიას და წარმოადგენს შეურაცხმყოფელ და არაკორექტულ ტერმინს. ილია მეორე არის ავტორიტეტული პირი და მისი ფრაზა, რომელიც სირცხვილად მოიხსენიებს ნარკომანიას, იწვევს წამალდამოკიდებული ადამიანების სტიგმატიზაციას. განმცხადებლები ასევე სადაოდ ხდიან, ფრაზას, რომლის თანახმადაც, „ნარკომანები“ დგანან შიდსით დაავადების საშიშროების წინაშე. განმცხადებლის თქმით, მცდარია ინფორმაცია, რომ შიდსით მხოლოდ ან უმეტესად წამალდამოკიდებული პირები ავადდებიან.

განცხადების თანახმად, შიდსი არის აივ ინფექციის ბოლო სტადია, როდესაც ავადმყოფს უვითარდება გარკვეული დაავადებები ან/და იმუნური სისტემის მძიმე დაზიანება. ამ ცნებების გაიგივება კი წარმოადგენს დისკრიმინაციულ მიდგომას. სახელმძღვანელოს ტექსტიდან გამომდინარე, აივ ინფექციის შეჭრის შემდეგ ადამიანი მომენტალურად ავადდება შიდსით და განწირულია სიკვდილისთვის, რაც არსებითად არასწორი ინფორმაციაა და ამძაფრებს შიშს აღნიშნული დაავადებისადმი. განმცხადებელი ასევე მიიჩნევს, რომ სახელმძღვანელო ავრცელებს მცდარ ინფორმაციას, კერძოდ, უნდა იყოს ჩანაწერი რომ აივ ინფექცია შეიძლება გადაედოს ადამიანს დაუცველი სქესობრივი კავშირის დროს და არა დაცული სქესობრივი კავშირის დროს.

განმცხადებელი, თამარ გახოკიძე, თვლის რომ მას, აივ ინფიცირებულ და წამალდამოკიდებულ პირებს ერღვევათ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება და ღირსების უფლება. განმცხადებელი არის მრავალშვილიანი დედა. მისი ერთ-ერთი შვილი მერვე კლასის მოსწავლეა, რომელსაც აქვს ინფორმაცია დედის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და განმცხადებლისთვის მნიშვნელოვანია, აღნიშნულის თაობაზე მის შვილს და სხვა მოსწავლეებს ობიექტური ინფორმაცია მიეწოდოს. სახელმძღვანელო მოუწოდებს ბავშვებს მოიფიქრონ რატომ არის წამალდამოკიდებული ადამიანი საზოგადოებისთვის საშიში. მსგავსი მიდგომა კი ხელს უშლის აღნიშნული დაავადების მქონე პირების საზოგადოებაში ადაპტაციას.

რაც შეეხება შესადარებელ ჯგუფს, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ იმავე თავში განხილულია C ჰეპატიტი, თუმცა ამ დაავადებასთან მიმართებით არ არის მითითებული, რომ ის აუცილებლად სიკვდილით მთავრდება. აივ ინფექციისგან განსხვავებით, C ჰეპატიტის განხილვისას, საილუსტრაციოდ მოცემულია დაზიანებული ღვიძლის და არა შემზარავი გარეგნობის მქონე ადამიანის ფოტო. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ აღნიშნული დაავადებების პრევენციის მიზნით გამოყენებული ზომა, ახალგაზრდების დაშინება და მითითებული დაავადებების მქონე პირთა სტიგმატიზაცია, არ არის პროპორციული საშუალება.

განმცხადებლის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს უპირისპირდება სახელმძღვანელოს ავტორის გამოხატვის თავისუფლება, ამ უკანასკნელს კი უპირატესობა ვერ მიენიჭება. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ სახელმძღვანელოში გამოყენებული ფრაზები შეიძლება, გამოხატვის თავისუფლებით საერთოდ არ იყოს დაცული.

განმცხადებელი ითხოვს ბიოლოგიის VIII კლასის სახელმძღვანელოს ჩამოერთვას გრიფი და სახელმძღვანელოს ავტორებს დისკრიმინაციული ფრაზებისა და ტერმინების ტექსტიდან ამოღება დაევალოთ. ასევე, განათლების სამინისტროს დაევალოს გრიფის მინიჭების პროცესში სახელმძღვანელოების ანალიზი დისკრიმინაციული ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის 14 სექტემბრის წერილის თანახმად, სამინისტრო არ ეთანხმება თამარ გახოკიძის განცხადებას. სამინისტროს წერილის მიხედვით, ტერმინი „ნარკომანი“ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, ამ ტერმინის განმარტება მოცემულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში, რომლის თანახმადაც, განმარტების წყარო არის სახალხო დამცველის ყოველთვიური ჟურნალი „სოლიდარობა“ (#5’06, 2006 წ). ამას გარდა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მრავალი სამსახურის შრომის განაწესი ითვალისწინებს წამალდამოკიდებულ ადამიანთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას. წერილის თანახმად, პატრიარქის ფრაზა ასახავს დამოკიდებულებას არა კონკრეტული პირისადმი, არამედ ქმნის უარყოფით დამოკიდებულებას ზოგადად წამალდამოკიდებულების მიმართ. სამინისტრო არ დაეთანხმა მოსაზრებას რომ სადისკუსიო შეკითხვა არის მასტიგმატიზირებელი და რომ წინასწარ შეუძლებელია პროგნოზირება, როგორ წარიმართება კლასში დისკუსია. სამინისტრო დაეთანხმა განმცხადებელს, რომ უნდა დაზუსტდეს ფრაზა - აივ ინფექცია შეიძლება გადაედოს ადამიანს **დაუცველი** სქესობრივი კავშირის დროს.

სამინისტროს პოზიციის თანახმად, სახელმძღვანელოში ცალსახად არ არის მითითებული, რომ აივ ინფექცია და შიდსი სინონიმური ცნებებია. ამას გარდა, მათი სინონიმებად გამოყენების შემთხვევაშიც სასწავლო შედეგებზე გავლენა მინიმალური იქნებოდა. ასევე, საქართველოს კანონში „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“, ტერმინები პრაქტიკულად სინონიმური მნიშვნელობით არის გამოყენებული. სამინისტრო არ დაეთანხმა განმცხადებლის პოზიციას და მიიჩნია, რომ სახელმძღვანელოში განთავსებულ ფოტოსთან მიმართებით განმცხადებელი მსჯელობს პირადი ემოციის საფუძველზე და ადგილი არ აქვს სიძულვილის ენის გამოყენებას. ასევე, სახელმძღვანელოში ცვლილებების შეტანა ვერ მოხერხდება მომდევნო გრიფირების პროცესამდე.

2016 წლის 1 თებერვალს, სამინისტროს პოზიციის საპასუხოდ განმცხადებელმა წარმოადგინა წერილობითი მოსაზრება. განმცხადებლის პოზიციის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსში ტერმინი „ნარკომანის“ გამოყენება არის საკანონმდებლო ხარვეზი და აღნიშნულით ვერ გამართლდება ამ ტერმინის სახელმძღვანელოში გამოყენება. ამას გარდა, სამინისტროს მიერ მითითებული ჟურნალი

„სოლიდარობა“ გამოცემულია 2006 წელს, ამის შემდეგ ტერმინები შეიცვალა და აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს სახალხო დამცველის ოფიციალურ პოზიციად. განმცხადებელმა არ გაიზიარა სხვადასხვა სამსახურის შრომის განაწესთან დაკავშირებით არგუმენტი და მიიჩნია, რომ წამალდამოკიდებული პირების სამსახურიდან გათავისუფლების აუცილებლობა უნდა შეფასდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში სამუშაოს ჯეროვან შესრულებასთან მიმართებით. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ წამალდამოკიდებულების მიმართ უნდა არსებობდეს უარყოფითი განწყობა, თუმცა არ უნდა მოხდეს ილია მეორის ავტორიტეტის გამოყენება ნარკომანიით დაავადებული პირების შერცხვენისა და გარიყვის მიზნით. გარდა ამისა, სადისკუსიო კითხვის ფორმულირება საფუძველშივე უშვებს, რომ წამალდამოკიდებული ადამიანი საზოგადოებისთვის საშიშია.

2. სამართლებრივი შეფასება

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში შეაფასა 2000 წელს კულტურის სამინისტროს მიერ გამოცემულ წიგნში „თურქეთის ბოშები“ და კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გამოქვეყნებულ ლექსიკონებში „თურქული ენის ლექსიკონი მოსწავლეებისთვის“ და „თურქული ენის ლექსიკონი“ გამოყენებული სტიგმის შემცველი ტერმინები. მომჩივანი თვლიდა რომ წიგნი და ლექსიკონები შეიცავდა შეურაცხმყოფელ, მასტიგმატიზირებელ გამონათქვამებს და წარმოადგენდა დისკრიმინაციას ბოშების მიმართ. სასამართლომ საჭიროდ არ ჩათვალა აღნიშნულის კონვენციის მე–14 მუხლის (თანასწორობის უფლება) კონტესტში განხილვა, თუმცა, მიუთითა, რომ საკითხი კონვენციის მე–8 მუხლით (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) დაცულ სფეროში ხვდებოდა.[2] სასამართლოს განმარტებით, პიროვნული ავტონომიის ცნება არის მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელსაც ეფუძნება მე-8 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების ინტერპრეტაცია. შესაბამისად, ის მოიცავს პირის ფიზიკური და სოციალური იდენტურობის მრავალმხრივ ასპექტს. კერძოდ, ჯგუფისადმი ნეგატიური სტერეოტიპის მინიჭებას, როდესაც ის აღწევს გარკვეულ დონეს, შეუძლია გავლენა მოახდინოს ჯგუფის იდენტურობის და თვითრწმენის განცდაზე. ამ მხრივ, აღნიშნულმა შეიძლება გავლენა იქონიოს ჯგუფის წევრების პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე.[3]

განსახილველ შემთხვევაში, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ბიოლოგიის სახელმძღვანელოში გამოყენებული მასტიგმატიზირებელი ტერმინები არ იწვევს განსხვავებულ მოპყრობას „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მნიშვნელობით, თუმცა, აღნიშნული შემთხვევა საფუძველშივე უწყობს ხელს მომავალში აივ ინფიცირებული და წამალდამოკიდებული პირების მიმართ სტერეოტიპული და დისკრიმინაციული დამოკიდებულების განვითარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიმართოს ზოგადი წინადადებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, მოსწავლეებს ინფორმაცია მიაწოდოს ობიექტურად, კრიტიკულად და

[2] Aksu v. Turkey, [GC], app. nos. 4149/04, 41029/04, 15/03/2012, § 45
[3] Aksu v. Turkey [GC], app. nos. 4149/04, 41029/04, 15/03/2012, § 58

პლურალისტურად. განათლება უნდა იყოს კონვენციით აღიარებული იდეების დანერგვის ინსტრუმენტი და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწინდარი.[4]

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია საქართველოს სახელმწიფოს ავალდებულებს, ჩამოაყალიბოს ბავშვის ინტერესებზე მორგებული განათლების სისტემა, უზრუნველყოს მათთვის ყველა საჭირო უნარის გამომუშავება და სასწავლო პროცესში დაიცვას ადამიანის უფლებები.[5] ტოლერანტობის იდეა თავიდანვე უნდა ჩაენერგოთ ბავშვებს.[6] სკოლის გარემო უნდა იყოს თავისუფალი და ბავშვებისადმი გამგები სულისკვეთებით გამსჭვალული, მშვიდი, ტოლერანტული, სქესთა თანასწორობაზე დამყარებული და მეგობრული განსხვავებული ჯგუფების მიმართ.[7] დისკრიმინაციასთან ბრძოლის საუკეთესო მექანიზმი არის განათლება. სკოლამ ბავშვებს უნდა ასწავლოს განსხვავებულობისადმი პატივისცემა. შეუწყნარებლობასთან ბრძოლის პროცესში განათლება უნდა იყოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი.[8]

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის მე–6 პუნქტის თანახმად, ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საგნების სწავლება უნდა იყოს აკადემიური, ობიექტური და არადისკრიმინაციული. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის #30/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-8 მუხლის მეათე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმძღვანელო არ შეფასდება და ეთიშება გრიფირებას იმ შემთხვევაში, თუ მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი შეიცავს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ ელემენტებს (ენა, ეროვნება, სქესი, ეთნიკური და სოციალური კუთვნილება და სხვა).

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სტიგმები და სტერეოტიპები არის სოციალური კონტროლის ძლიერი ინსტრუმენტი და მათი გამოყენება ხდება ინდივიდების გარიყვისთვის. ხშირად, აივ-ინფექციის გამავრცელებლად მოიაზრება წამალდამოკიდებული პირი და ეს სტერეოტიპი კიდევ უფრო რიყავს ასეთ ადამიანებს საზოგადოებისგან. სტერეოტიპული შეხედულების გავლენით, საზოგადოება ხშირად თავად ინფიცირებულს ადანაშაულებს და აკისრებს ინფიცირებაში პასუხისმგებლობას. ასეთი შეხედულებების ფონზე, დაუშვებელია საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ბავშვებში, სტერეოტიპების კიდევ უფრო გამყარება.

1960 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) გამოსცა რეკომენდაცია, რომ არ ყოფილიყო გამოყენებული ტერმინი „ნარკომანი“ (addiction/addicted) და მის მაგივრად გამოყენებულიყო სიტყვა „დამოკიდებულება“ (dependence).[9] UNAIDS-ის განმარტებით ტერმინი „ნარკომანი“ (drug addicts/drug abusers) არის დამაცირებელი და არ არის ნდობის, პატივისცემის გამომხატველი.[10]

შიდსს (შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი) იწვევს აივ ინფექცია (იმუნოდეფიციტური ვირუსი). არასწორია ტერმინი შიდსით ინფიცირებული. შიდსი წარმოადგენს ოპორტუნისტული ინფექციების და დაავადებების სინდრომს, რომელიც შეიძლება განვითარდეს, რამდენადაც,

---

[4] Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark, app. nos. 5095/71; 5920/72; 5926/72 , 07/12/1976, § 53
[5] Committee on the rights of the children, General Comment no. 1 (2001) article 29 (1): the aims of education, § 2
[6] Committee on the rights of the children, General Comment no. 1 (2001) article 29 (1): the aims of education, § 4
[7] Committee on the rights of the children, General Comment no. 1 (2001) article 29 (1): the aims of education, § 19
[8] Committee on the rights of the children, General Comment no. 1 (2001) article 29 (1): the aims of education, § 11
[9] Lexicon of alcohol and drug terms published by the World Health Organization, ხელმისაწვდომია: http://www.who.int/substance_abuse/terminology/who_lexicon/en/
[10] UNAIDS TERMINOLOGY GUIDELINES, 2015, ხელმისაწვდომია: http://www.unaids.org/sites/default/files/media_asset/2015_terminology_guidelines_en.pdf

იმუნიტეტის დაქვეითება აძლიერებს აივ ინფექციის უწყვეტობას (მწვავე ინფექციიდან სიკვდილამდე). ბევრ აივ ინფიცირებულ ადამიანს არ აქვს შიდსი და შესაბამისად, ამ ორი ტერმინის სინონიმებად გამოყენება შეცდომაა.[11]

ევროპული სასამართლოს განმარტებით, 1980–იანი წლების ეპიდემიიდან მოყოლებული, აივ ინფექციის მქონე პირები გახდნენ ფართომაშტაბიანი სტიგმისა და გარიყვის მსხვერპლნი, მათ შორის ევროპის საბჭოს რეგიონში. ეპიდემიის გავრცელების ადრეულ წლებში, როდესაც აივ ინფექცია და შიდსი, თითქმის ყოველთვის, დიაგნოზირდებოდა როგორც სასიკვდილო მდგომარეობა და ძალიან მწირი ინფორმაცია არსებობდა გადადების რისკის შესახებ, ხალხი უფრთხოდა დაინფიცირებულ პირებს, რადგან მიიჩნევდნენ, რომ შეიძლებოდა მათგან გადადებოდათ ინფექცია. დაავადების გავრცელების შესახებ ინფორმაციის არქონა აღნიშნულის შესახებ ამყარებდა ცრურწმენას, რაც თავის მხრივ, იწვევდა ვირუსის მატარებელთა სტიგმატიზაციას და მარგინალიზაციას. როდესაც აივ ინფექციის და შიდსის გადადების გზების შესახებ მეტი ინფორმაცია გახდა ცნობილი, მიიჩნიეს რომ აივ ინფექციის გავრცელების საფუძველი უნდა ეძებნათ კონკრეტულ ქცევაში, როგორიცაა, ერთიდაიმავე სქესის მქონე პირთა სექსუალური კავშირი, ნარკოტიკების მოხმარება, პროსტიტუცია ან ცხოვრების „გარყვნილი“ წესი. ასეთი ქცევები ბევრ საზოგადოებაში, უკვე სტიგმატიზებული იყო და, შესაბამისად, ქმნიდა მცდარ კავშირს დაინფიცირებასა და პირად უპასუხისმგებლობას შორის, აძლიერებდა სტიგმისა და დისკრიმინაციის ისეთ ფორმებს, როგორიცაა, რასიზმი, ჰომოფობია და მიზოგინია. აივ ინფექცია/შიდსთან ბრძოლის გაეროს დეკლარაციის თანახმად, სტიგმა აძლიერებს ეპიდემიის გავლენას ინდივიდებზე, ოჯახებზე, საზოგადოებასა და ერებზე. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აივ ინფიცირებული ადამიანები წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფს, რომლებიც, ისტორიულად, მათ მიმართ სტიგმასა და ცრურწმენას განიცდიან.[12] აივ-დადებითი ადამიანების წინაშე დგას მთელი რიგი პრობლემებისა, არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ ასევე პროფესიონალური, სოციალური, პირადი და ფსიქოლოგიური ხასიათის, და არის ასევე შემთხვევები, როდესაც მყარი ცრურწმენა შეინიშნება განათლებულ ადამიანებს შორის.[13]

ბავშვის უფლებათა გაეროს კომიტეტის განმარტებით, ძალიან ხშირად, ბავშვები, რომელთა მშობლებიც არიან აივ ინფიცირებულები, განიცდიან დისკრიმინაციას.[14] სახელმწიფომ პროაქტიული ნაბიჯები უნდა გადადგას, რომ დაამარცხოს აივ ინფექციასთან და შიდსთან დაკავშირებული სტერეოტიპები. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რათა შემცირდეს ამ საკითხთან დაკავშირებული გულგრილობა, სტიგმა, დისკრიმინაცია, შიში და ცრურწმენები. ბავშვებს უნდა ჰქოდნეთ ობიექტური და სრული ინფორმაცია აღნიშნული დაავადების გავრცელების თაობაზეც.[15]

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომისიის #10 ზოგად რეკომენდაციაზე, რომლის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ კრიტიკული აზროვნების უნარი სკოლის მოსწავლეებს შორის და აღჭურვონ ისინი

---

[11] UNAIDS TERMINOLOGY GUIDELINES, 2015, ხელმისაწვდომია: http://www.unaids.org/sites/default/files/media_asset/2015_terminology_guidelines_en.pdf

[12] Kiyutin v. Russia, app. no. 2700/10, 10/03/2011, § 64

[13] I.B. v. Greece, app. no. 552/10, 03/10/2013, § 80

[14] Committee on the Rights of the child, General Comment No. 3 (2003) HIV/AIDS and the rights of the child, § 5

[15] Committee on the Rights of the child, General Comment No. 3 (2003) HIV/AIDS and the rights of the child, §§ 7, 14

აუცილებელი უნარ–ჩვევებით, რათა მათ შეძლონ გაიაზრონ და რეაგირება მოახდინონ მათ სასკოლო მასალებში გამოყენებულ სტერეოტიპებსა და შეუწყნარებლობის ელემენტებზე.[16]

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-13, მე-17 და 24–ე მუხლები ავალდებულებს საქართველოს სახელმწიფოს, ბავშვებს მიაწოდოს ადეკვატური, დროული ინფორმაცია აივ-ინფექციის და შიდსის შესახებ, მათ პრევენციაზე და მკურნალობაზე. ბავშვებს ესაჭიროებათ რელევანტური, მართებული და დროული ინფორმაცია იმ სახით, რაც მორგებული იქნება მათ ასაკსა და შესაძლებლობზე, მიღებული ინფორმაცია დაეხმარება მათ თავიდან აიცილონ აივ ინფექცია. ბავშვის უფლებათა გაეროს კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, აივ-ინფექციის და შიდსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ბავშვებისთვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებისას, სახელმწიფოს მიერ არ უნდა მოხდეს ცენზურის დაწესება, ინფორმაციის ნაწილობრივ მიწოდება ან განზრახ არასწორად განმარტება.[17] აივ ინფექციისა და შიდსის შესახებ სწავლებას და ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას გადამწყვეტი როლი აქვს ბავშვების შეხედულების ჩამოყალიბებაში, ამაღლებს მათ ცნობიერებასა და შეგნებას, ასევე, ამცირებს ნეგატიურ დამოკიდებულებას ინფიცირებულ პირთა მიმართ. ამას გარდა, განათლებას შეუძლია დაიცვას ბავშვი აივ ინფექციისგან გამომდინარე რისკებისგან.[18]

განსახილველი შემთხვევაში, ნათელია, რომ ზემოთ მოცემული ვალდებულებები ვერ განახორციელა საქართველოს სახელმწიფომ, რადგან წიგნში არის გამოყენებული სტერეოტიპების და სტიგმების შემცველი სიტყვები და ფრაზები, ასევე, ინფორმაცია წარმოდგენილია არასწორი და არასრულყოფილი სახით. წიგნში არ არის დაკონკრეტებული, რომ აივ ინფექცია გადადის დაუცველი სქესობრივი კავშირით, გამოყენებულია ტერმინი „ნარკომანი", დასმული კითხვის ფორმულირებიდან გამომდინარე ყველა წამალდამოკიდებული ადამიანი გაიგივებულია საზოგადოებისთვის საშიშ პირთან, საილუსტრაციოდ წარმოდგენილია ფოტო, რომელიც დამამცირებელი და ღირსების შემლახველია აივ ინფიცირებული ადამიანისთვის, ამას გარდა, პრევენციისთვის არასათანადოდ ამომწურავად არის განხილული ინფექციის გავრცელების საშუალებები. ასევე აღსანიშნავია, რომ მცდარია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აივ ინფიცირებული პირი არის შიდსის გამავრცელებელი, რამდენადაც, ეს უკანასკნელი შეიძლება მხოლოდ აივ ინფექციის გადამდები იყოს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დაუშვებელია სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში გვხვდებოდეს ისეთი გამონათქვამები, რომელიც არასწორ ინფორმაციას აწვდის ბავშვს და კონკრეტულ საკითხზე უქმნის მას ისეთ წარმოდგენას, რამაც შეიძლება წაახალისოს სხვათა მიმართ სტიგმის გაძლიერება, კონკრეტული ჯგუფების მარგინალიზაცია და ხელი შეუწყოს სტერეოტიპული აზროვნების განვითარებას სკოლის ასაკიდანვე.

ზოგად წინადადებაში მითითებული რეკომენდაციების შესაბამისად სახელმძღვანელოში ცვლილებების განხორციელება არ გამოწვევს სახელმძღვანელოს ავტორთა გამოხატვის თავისუფლების დარღვევას, არამედ იქნება აღნიშნული უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური და პროპორციული საშუალება. ადამიანის უფლებთა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს პირის გამოხატვის თავისუფლებას, ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი ამ უფლებით სარგებლობისას გარკვეულ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, კერძოდ, ადამიანმა მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი ისეთი

[16] Aksu v. Turkey [GC], app. nos. 4149/04, 41029/041, 5/03/2012, § 85
[17] Committee on the Rights of the child, General Comment No. 3 (2003) HIV/AIDS and the rights of the child, § 13
[18] Committee on the Rights of the child, General Comment No. 3 (2003) HIV/AIDS and the rights of the child, § 15

გამონათქვამების გაკეთებისგან, რომელიც შეურაცხმყოფელია და ლახავს სხვათა უფლებებს.[19] ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ტოლერანტობა და სხვათა თანასწორობისა და ღირსების პატივისცემა არის დემოკრატიული და პლურალისტური საზოგადოების საფუძველი.[20] სწორედ აქედან გამომიდნარე, გარკვეულ საზოგადოებებში შეიძლება არსებობდეს სანქციები ან აკრძალვა ისეთი გამონათქვამების მიმართ, რომელიც ავრცელებს, პროვოცირებას უკეთებს, ახალისებს ან ამართლებს სიძულვილს და შეუწყნარებლობას.[21]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემდეგი ზოგადი წინადადებებით, სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე:

- ბიოლოგიის VIII კლასის სახელმძღვანელოში ტერმინი „ნარკომანი“ ჩანაცვლდეს ტერმინით „წამალდამოკიდებული“;
- სახელმძღვანელოს ტექსტის ფორმულირება შეიცვალოს იმგვარად, რომ წამალდამოკიდებული ადამიანი საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებასთან არ იყოს გაიგივებული;
- სახელმძღვანელოში აისახოს ზუსტი ინფორმაცია აივ ინფექციისა და შიდსის შესახებ და მოხდეს აღნიშნული დაავადებების ერთმანეთისგან განსხვავება;
- სახელმძღვანელოში აისახოს ზუსტი ინფორმაცია აივ ინფექციისა და შიდსის გავრცელების გზებს შორის განსხვავების და აღნიშნულ დაავადებებთან ბრძოლის შესახებ;
- ამოღებულ იქნას 2.13 თავის ბოლოს დართული ფოტო;
- უზრუნველყოფილი იქნეს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში არ აისახოს ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს წამალდამოკდიებული, აივ ინფექციის და შიდსის მატარებელი ადამიანების მიმართ სტიგმის და სტერეოტიპული დამოკდიებულების წარმოშობა და დისკრიმიანციის წახალისება.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის თანახმად.

პატივისცემით,

უჩა ნანუაშვილი

[19] Otto-Preminger-Institut v. Austria, app. no. 13470/87, 20/09/1994, § 49; Wingrove v. The United Kingdom, app. no. 17419/90, 25/11/1996, § 52; UN Human Rights Committee (hrc), CCPR General Comment no. 11: article 20 prohibition of propaganda for war and inciting national, racial or religious hatred, 29 July 1983, available at: http://www.refworld.org/docid/453883f811.html [accessed 31 august 2015]

[20] Gündüz v. Turkey, app. no. 35071/97, 14/06/2004, § 40

[21] Sürek v. Turkey (no. 1) [GC], app. no. 26682/95, 08/07/1999, § 62

სახალხო დამცველი

.